



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის
ბრძანება

ქ. თბილისი



MES 4 20 0001131713

27/11/2020

**„2020-2021 სასწავლო წლის პირველი (შემოდგომის) სემესტრის სასწავლო განრიგის შესახებ“
სტუ-ს რექტორის 2020 წლის 18 სექტემბრის №01-09-10/128 ბრძანებაში ცვლილების შეტანის
შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „2020-2021 სასწავლო წელს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ“ საქართველოს განათლების მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 26 ნოემბრის №1127365 ბრძანების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. „2020-2021 სასწავლო წლის პირველი (შემოდგომის) სემესტრის სასწავლო განრიგის შესახებ“ სტუ-ს რექტორის 2020 წლის 18 სექტემბრის №01-09-10/128 ბრძანებაში შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) ბრძანების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. 2020 წლის 28 ნოემბრიდან 2021 წლის 30 იანვრის ჩათვლით სასწავლო პროცესი წარიმართოს 100%-ით ონლაინ/დისტანციურ რეჟიმში.“;

ბ) ბრძანების მე-6, მე-6¹, მე-6² და მე-7 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. სასწავლო მეცადინეოები ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებისათვის ჩატარდეს 2021 წლის 06 თებერვლის ჩათვლით (იხ. დანართი 1).

6¹. 2021 წლის 01 თებერვლიდან 06 თებერვლის ჩათვლით მოხდეს სილაბუსით გათვალისწინებული ყველა ლაბორატორიული და პრაქტიკული სამუშაოს შესრულება.

6². სწავლების დეპარტამენტმა უზრუნველყოს სასწავლო ცხრილის მომზადება ბრძანების მე-6, მე-6¹ და მე-7 პუნქტების მოთხოვნების გათვალისწინებით.

7. სასწავლო კომპონენტში შუასემესტრული გამოცდა (არსებობის შემთხვევაში) ჩატარდეს მე-11 სასწავლო კვირაში -- 2020 წლის 07 დეკემბრიდან 12 დეკემბრის ჩათვლით, პირველი – მე-8 კვირებით გათვალისწინებული თემატიკის ფარგლებში; მიმდინარე აქტივობები შეფასდეს შესაბამის სილაბუსში მითითებულ კვირებში, დოკუმენტური მასალის ჩაბარება მოხდეს - მე-17– მე-20 კვირებში (შესაბამის დასკვნით გამოცდამდე), მიმდინარე აქტივობების აღდგენა მოხდეს მე-18 კვირაში, 2021 წლის 08 თებერვლიდან 13 თებერვლის ჩათვლით, დასკვნითი გამოცდები ჩატარდეს 2021 წლის 15 თებერვლიდან 27 თებერვლის ჩათვლით, ხოლო დამატებითი გამოცდები – 2021 წლის 01 მარტიდან 06 მარტის ჩათვლით (იხ. დანართი 1).“;

გ) ბრძანების მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. დისერტაციის წინასწარი დაცვა ჩატარდეს ონლაინ/დისტანციურ რეჟიმში 2020 წლის 05 დეკემბრის ჩათვლით (იხ. დანართი 1).“.

2. ბრძანების დანართი 1 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ვიცე-რექტორს (ლ. კლიმიაშვილს).

4. ბრძანება ძალაში შევიდეს 2020 წლის 28 ნოემბრიდან.

5. ბრძანება გამოკრულ იქნეს თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64).

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
რექტორი დავით გურგენიძე

Not signed